



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49.49220701

თარიღი:11/03/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 26**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების  
სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით,  
გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის  
განსაზღვრის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482206353, 04/03/2022) წერილი, რომელშიც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2022 წლის 11 მარტის №26 განკარგულების  
დანართი №1

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)
1	2	3	4	
1	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტი სოფელი მაღლაკი	შენობის მეორე სართულზე განთავსებული  12.96 კვ.მ ფართი (ერთი ოთახი)	29.10.37.366	1170